თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №229980

ნომერი: AR158955

თარიღი : 15.06.2012

გაცემის თარიღი : 23.06.2012

გაცნობის თარიღი : 16.07.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზიზი ურუშაძე პ/ნ 01008016939
- თბილისი მისამართის გარეშე

ორგანიზაცია:

- შ.პ.ს „ექიფ ჰალი ფაზარლამა სანაი ვე თიჯარეთი“-ის ფილიალი საქართველოში კოდი: 404928959

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  რეკონსტრუქცია

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

AR158955 განცხადებით მოთხოვნილი სარეკლამო დროშების განთავსების შესაძლებობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენი განცხადება თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სოფელი დიღომში, შპს "მერმისი"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე არსებულ ბოძებზე სარეკლამო დროშების განთავსებას, პასუხად გაცნობებთ, რომ "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების 65-ე მუხლში საქართველოს მთავრობის 2011 წლის 12 აგვისტოს N315 დადგენილებით შევიდა ცვლილება, რომლის თანახმადაც თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელსაც არ ესაჭიროება მშენებლობის ნებართვა და სამსახური გასცემს წერილობით თანხმობას. "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (შპს ''მერმისი"-ს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N882012050654 09.02.12წ. საკადასტრო კოდი N01.72.14.034.451; მესაკუთრის თანხმობა და საპროექტო ფოტომონტაჟი); ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სოფელი დიღომში, შპს "მერმისი"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე საკადასტრო საზღვრებში არსებულ ბოძებზე სარეკლამო დროშების დროებითი სტატუსით /6 თვით განთავსების შესაძლებლობას.

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge